

გამოსვლის 52-ე წელი, (№ 1459). სექტემბერი. 1975. ფასი 20 კაპიკი.

ნახ. ჯ. ლოლუასი



— ეგ არის, ერთ ტალღასაც გავუძლოთ და, მერა უველაფერი რიგზე იქნებაო?!



ავტომანქანა კურსი რიკოთის უღელტეხილისაკენ აიღო. მთის ჰაერმა მადა გაგვიხსნა და სასაუზმე გაგვასხენა. საგზაო ნიშანმა, რომელზეც კოვზი და ჩანგალი ეხატა, ყოველგვარი ორბრუნვების გარეშე აგვიხსნა თვალწარმტაც ხეობაში ჩამდგარი უზარმაზარი ოდასახლის დანიშნულება.

არც „მასპინძელი“ დაგვიძახია და არც „მობრძანდით“ უთქვამს გინმეს. გადავიარეთ ეზო და განიერ კიბეზე ავიდით.

— ეს საქვეყნოდ განთქმული რესტორანი „ოდაა“! — შეუბნება ჩემი თანამგზავრი.

— მაინც რითია განთქმული? — შევეკითხე და უამრავ თავისუფალ მაგიდას შორის ერთი ამოვიჩიე.

— რითაა განთქმული და, კარგ კერძებს ამზადებენ, მაგრამ კარგადაც . . . — ბოლო ორი სიტყვა თითქმის ჩურჩულით მითხრა ამხანაგმა.

ორი ულუფა ხარხო, 100 გრამი ყველი, ერთი ლიმონათი, ერთი ბოთლი მინერალური წყალი და ნახევარი კგ პური გაჩნდა მაგიდაზე.

საუზმის დამთავრების შემდეგ ანგარიში მოვითხოვეთ.

— 4 მანეთი და 60 კაპიცი! — ყელი ჩაგვიკოკლონინა მიმტანმა ლილი ლომიძემ.

წინასწარმეტყველება აგვიხდა!.. ამიტომაც მოვითხოვეთ, წერილობით წარმოგვიჩინათ ანგარიში. მიმტანი წავიდა და... სულ დაიკარგა... ამიტომ დირექტორი გ. მაჭავარიანი მოვიანახუ-



— კაცო, სოფელს წყალი არ ყოფნის და შენ ღვინოში ასხამ?! —

ლეთ. აქვე გამოჩნდა მეზუფიკტი ანზორ ლომიძე, და იმის მტკიცება დაიწყო, რომ ლილი ლომიძე დამლაგებელია და სხვა მაგიდის ანგარიში წარმოგიდგინათო (ამ დროს მთელ რესტორანში მხოლოდ ორი მაგიდა იყო დაკავებული). ანზორი ძალიან ღელავდა, რუსულ ენაზე დაწერილი ანგარიში ქართული ხელმოწერით დაამშვენა და თანაც დააყოლა: „სირცხვილია, ქართველები არა ხართ?“

ჩვენც ამას ვფიქრობდით.

მგზავრი შ. ს.

უპასუხო კითხვები

— რომელ ფხვნილში ირეცხება სინდისი?

— წნევის აპარატი რომ არ იყო, თუ იყვნენ მაშინ წნევიანები?

— რენტგენით რატომ არ ჩანს შავი ბული?

გიგლა ბახტაძე

ნუ ჩამითვლით „ანონიმკად“, ამა ლექსში რასაც ვამხელ: ცოლითა და ერთი შვილით სამ ოთახში შემასახლეს!

არა, ბინა კარგი არის, ოთახები — ფართო, ვრცელი.. მაგრამ, რა ვქნა, გულს მიხეთქავს ჩემი კარის მეზობელი.

იმას ოთხი ოთახი აქვს, ნათელი და მართლა ფართო, — ერთადერთი ცოლისა და სამად სამი შვილის პატრონს.

მითხრან მაინც, რითი მჯობნის შესახედად ჩემი სწორი?! რა ეშმაკით მოახერხა, თუ არ ჰყავდა პროტექტორი?!

რაღაც ცხრა თვემ გაიარა, ისევ დარდის მოსარჩლე ვარ: ჩემი ცოლიც, მისი ცოლიც, წაიყვანეს მოსარჩუნად.

მეზობელო კარისაო, ჯავრზე ჯავრი დამემატა: ერთადერთი გოგოს პატრონს ისევ გოგო დამებადა!..

გამიხარდა, მაგრამ ლხენაც პროტექციას შეეწირა:



ჩემს მეზობელს, სამშვილიანს, ტყუპი ვაჟი შეეძინა!..

გავიტყუდებით, მეგობრებო, გული ბოლმამ აიტანა! — თუ არ იყო პროტექცია, — ორი ბიჭი საიდანა?!

ეს კიდევ რა! მოგიყვებით, რა შეგვემთხვა ერთხელ, დამე: ორივენი ცუდად გავხდით, სასწრაფოთი გავვაქანეს!..

არავინ მყავდა დამრეკავი ზევიდან და... ჩვენში დარჩეს, უპატრონო კაცი მნახეს, ბრმა ნაწლავი ამომაჭრეს.

მეზობლისთვის დარეკეს და, იქნებ, კიდევ მოიწერეს? თურმე კუჭი გაუჭრეს და მერე ისევ გაუჭერეს...

ექიმი რომ ექიმა, არ ყოფილა ისიც სწორი. არაფერი გეშველება, თუ არა გყავს პროტექტორი!

თუმცა გწერთ ამ „ანონიმკას“, წაიკითხეთ, არც კი მჯერა! კარგი იყო, მე ეს ლექსი პროკურორთან მიმეწერა...

მაგრამ რა ვქნა? ჩემს მწერლობას დღეს მოუღეს უკვე ბოლო: უსახელო წერილები კონკურსებში გადის მხოლოდ.

ვერ ვიშოვე პროტექტორი, გული დარდმა აიტანა, ამიტომაც მე დაბეჭდვას ვინ მაღირსებს, საიდანა?!.

ვახტანგ გოგოლაშვილი (საკონკურსო მასალებიდან)

ბინის ორდერი ჩამაბარეს და, თვალი რომ გავახილეთ, ექიმმა საბოლოო შედეგი გამოიყვანა ანკეტაში (ისე, როგორც ბუღალტრულ ბალანსში გამოიყვანა — მოგება ან ზარალი), მერე ჩემი თანამეცხედრე დაამშვიდა:

— დარწმუნებული ვიყავი, ჩვენს ჭირს წაიღებდა. წაიყვანეთ სახლში, აწი არაფერი უჭირს!

— თავში არ დაარტყას, ექიმო! მიეცით რამე სინხარულის საწინააღმდეგო!

— არაა საჭირო! — თქვა ექიმმა, — ეცადეთ, რაც შეიძლება ჩქარა ნახოთ ასალი ბინა, შთაბეჭდილება კატასტროფულად გაანეიტრალეზ მოხდევამდებულ სინხარულს!

სულ რალაც ორიოდე საათში, ოთახის შუა გაკვეთებული (ცოტა გრძელი ვარ), პირდაღებული, გამოქაჯებული და ყურებჩამოყრილი შევეყურებდი შინაბერას შეუპუდრული ლოყებივით შეფიფქულ კედლებს ამასობაში ჩემი ანეტა საოჯახო მოწყობილობის დისლოკაციის სქემას ადგენდა.

— ტრილიაჟს აქ დავდგამთ, საწოლები ასე და ასე! — წავემშველე მე.

— შენ სამზარეულოში მოთავსდები! — თქვა მან, — სანამ ცხვირის ოპერაციას არ გაიკეთებ, იცოდეთ, ოთახში არ შემოგახედებ!

გველნაკებნივით გავვარდი სამზარეულოში. მერე ფიქრებით დამძიმებული თავი სადარბაზოს შესასვლელში ამოვყავი. აქ გაცნობადამეზობლობის კარიანტილი იდგა:

— კაცი 30 წელია პრაფადნიკად ვმუშაობ, — ამბობდა ერთი, — გლავნი კონდუქტორიც ვყოფილვარ, ვუყურებ ასლა ამ სახლს და ჩემი თავი მატარებელში მგონია: ერთი გასაღები ალებს და კეტავს ყველა კუპეს, რა ჰქვია... ბოდიში... ბინას...

— ერთი ოჯახიზა იყო დაბლანული? — იკითხა ერთმა.

— ვა! 48 ბინა ერთ ოჯახს?!

— ჩორტ ვო ზნაეტ! (ესენი, ალბათ, ჩემი მეზობლები იყვნენ).

— აბა, სეკრეტი გასაღები დავაყენოთ! — გამოგვეცხადა დაბარებულივით ხელოსანი. ვებდღვენი და დავისაკუთრე.

— ისეთი საკეტი დავაყენო, ვმმაკაც ვერ გააღოს — დაგვექადნა. იგი, ერთ საათს ქლიბა, ხეხა, ულოცა და მერე მიგვიწვია:

— ა, დაიჭერ ასე და გადაატრიალებ მარცხნიდან მარჯვნივ 90 გრადუსით!

— უიმე, გრადუსი ერთიც არა გვაქვს! — შეწუხდა ანეტა.

— არა უშავს! — თქვა ოსტატმა და კარების დაკეტვა მიბრძანა გარედან. დავკეტე.

— აბა, გააღე! გადმოვწვი ერთხელ, მეორედ, მესამედ, მერე გასაღები გავუყარე გასაღების თავში და მოვქაჩე... ტკაცო და, გასაღების თავთან ერთად, დავასკი ძარს.

— მიშველეთ, გამიტყდა! — ვიყვირე და შუბლზე ვიტაცე ხელი.

— შენ გაგიტყდა თავი და გაგიტანე აქედან ოთხი კაცით! — მომესიყვარულა იქიდან ანეტა.

— დამღუპე კაცი?! — აწუწუნდა ოსტატი, — როგორღა გამოვიდე კარში?

— ფანჯრიდან გადახტი! — ურჩია ანეტამ.

მე დაბლა ფანჯარასთან დავდექი... ჩემს ცხოვრებაში პირველად და, ალბათ, უკანასკნელად ვხედავდი, როგორ მოძვრებოდა ჩემი საძილო ოთახიდან უცხო მამაკაცი...

სასწრაფოდ გამოვხერხეთ კარების ის ნაწილი, სადაც საკეტი იყო მოთავსებული და ჩქარა მე და ანეტას შორის კავშირიც აღდგა.

— ინგლისური გასაღები დავაყენოთ! — ამოგვძახა ვილაცამ ქვემოდან.

— არიქა, ქალო! — ვეცი ანეტას და ქვემოთ გადავძახე, — აქეთ, აქეთ!

— რაო?! — მიყვირა ანეტამ, — დერი ინგლისური არ იცი, შე ბეგემოტო! რითი გინდა, გააღო და დაკეტო?!

— ავტომატურია, ქალო, თავისით იკეტება! — ავუსენი მე.

— მერე, მაგას ვეღრიჯო, გახსენი კრიჭა-მეთქი?! შენი სეკრეტი ვერ გავიგე, შე სასიკვდილო, ისე მომიხელე ქალი და გაწყდა ქვეყანაზე სხვა საკეტები? ინგლისურად თუ არ დავკეტე და გავაღე კარი, ისე არ იცხოვრება თუ?

ასლა ვდგავარ და ვფიქრობ, რომელი საკეტი ავირჩიო: ინგლისური, გერმანული, იაპონური, იტალიური თუ ფილიპინური, რათა ერთი საიმედოდ ჩავიკეტო და ბოლო მოვულო მამაპაპურ კარჩაკეტილობას. განა დასამალია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ არსებობენ სოფლები, სადაც სახლები უბოქლომ-უსაკეტოდ, რაზის ანაბარაა მიტოვებული?!

დროა, თვალი გავუსწოროთ თანამედროვეობას!

აკაკი მუხურაძე
(საკონკურსო მასალებიდან)

სალამი, ძმა ტიტო! კუთხურად რომ ვთქვათ, „რაფერ“ ხსნა... მე შენთან სალაპარაკოდ ვერ მოვიცალე ამდენ ხანს... ჯერ იყო, ინსტანციებში მკლავდა სირბილი, წანწალი. დაპირებებით მავსებდნენ, თავი გამიხდა ბათმანი. შენგან რომ წერა ვისწავლე, თუ გინდა გითხრა მართალი, ისე გამაქვს და გამომაქვს, აღარავინ მყავს ბადალი. ძამა, კი იცი, ქვემოდან ვის უხარია კრიტიკა! თავი ვერ გამომიჩინა, მეძახდნენ წამხდარს, ინტრიგანს. ჩემს ნაწერს აღარ ჭირდება დღეს ილიაში ხიცინი, ვისზეც კი რამე დაეწერე, ყველა დაგხოცე სიცილით... ამენდა მისი ოჯახი, ვინაც ძველი დრო მოშალა! — კვირას რომ ბინას დამპირდნენ, შიგ შემასახლეს ორშაბათს. შესაკეთებლად მზად ვიყავე შალაშინით და ხუმტარით, ხელოსანს მენი დავცა, რომ გამოვაკლდი მუმტარი. არც ერთ კარს შეცვლა არ უნდა, გადი-გამოდის ლილაკით, „ჰობლას“ ძახილით ჭერისკენ ვისვრი ეკას და ირაკლის. გაუმჯობესდა ცხოვრება, კაპიკს კაპიკის ფასი აქვს, ერთ კაცს ვერ ნახავ ბაზარში, — აფრიალებდეს ასიანს. ქისა, ელპიტი ბებიაშ სადღაც რომ გადაუძახა, ხურდა ფულისთვის მჭირდება, გამომიგზავნე, თუ ძმა ხარ! ხახვს, ნიორს, ბოლოკს, ოხრახუშს სულ თავის ფასში ვყიდულობ მებაზრე, ჯორზე რომ იჯდა, ჩამოხტა, ვეღარ დიდგულობს. კაცი კაცს აღარ ატყუებს, არის ვაჭრობა უსაფრთხო, ტაქსის შოფერი არ მიბღვერს, საწყობის გამგე ფულს არ მთხოვს. ასლა გამოცდებს არ იტყვი? ნურავინ ეძებს უპოვარს! — სასტიკ გამოცდელ მანქანას ჯიბე ვერავინ უპოვას! — კაცმა, ამ ამბის შემყურემ, როგორ არ გაიოცოსა? მცოდნე გამოცდას აბარებს, არმცოდნე — საგამოცდოსა. საყველათფერში წესრიგი რომ არის, ძმა ტიტო, იმას ვტირივარ, რა ვწერო, ანდა, ვინ გავაკრიტიკო? ჰონორარს ვეღარ ვაკეთებ, გულს დარდი შემომეყარა!... ეჰ, მე რომ წერა ვისწავლე, მაშინ გასწორდა ქვეყანა!

ძმაბიჭავი დაჩაბრული

ნახ. მ. აბაშიძისა



— მე ჩემს გოგოს მზითავში „ვეფხისტყაოსნიდან“ „ჰიბულს“ ვატან!

ქვემო-ქვენი

დასურადების „ფაქტორები“ იქმნებიან უარყოფილ საზოგადოებათა საწყისებზე! ჰოდა, ჩემმა მეზობელმა ეს საწყისები ბრწყინვალედ გაიარა მისი ტვინის უჯრედების ვაკუუმში შეიპარნენ დასურადების უსიამოვნო ბაქტერიები!.. მას არ გამოჰპარავია, მეზობლის სამზარეულოში ტარაკანების რამდენი შენაერთი ლაშქრობს, რამდენ კალათა ნაგავს ყრის, რამდენჯერ ალებს ლოჯიის ფანჯრებს, რამდენ კილომეტრს გადის ფეხით, ტაქსით და სხვ.

მას არ გააჩნია ტელეკომპიუტერი დანადგარი, არც დიქტაფონი, მაგრამ ფილიგრანულად ფლობს კარების საჭურჭელს და ფანჯრებიდან თვალთვალის ხელოვნებას!..

ერთხელ მზვიარავმა მეზობელმა სიტყვა მომაგება:

— ჩვენი მეზობელი, ბიკნტი, ან პოეტი, ან მეცნიერი, ან ზეიკოსმოსური მოვლენა! სურბარებებს უმზადებს ჩვენს კორპუსს!

— შეიძლება! — დავეთანხმე ჩემს მზვიარავ მეზობელს.

— შეიძლება კი არა, ასეა!.. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მას! მას ხელს უშლიან!

— ვინ? — ვიკითხე მე.
— მისი — სიღვრი, ცოლი, შვილები, ახლობლები!..
— ხმაურობენ?
— არა!
— აბა?
— მიუვლება თუ არა საწერ მაგიდას, მისი ოჯახის წევრები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ოჯახარკაც კი, იწყებენ ბიკნტის საწერის მაგიდის რხევას. ვინ იცის, ამ დროს რაზე მუშაობს ბიკნტი?! იქნება, ლექსზე?! იქნება, პოემაზე?! რომანზე?! ანდა, სულაც სოციოლოგიურ ტრაქტატებზე?!

— მერე? — ამომუშავდა ცნობისმოყვარეობა.

— მერე? ბიკნტი არ წყვიტს მუშაობას!.. წერს და თავისიანებს უკვირებებს: „მიდით!, მიდით! მაგათი დედა გატირე!“ ბოლოს სისარულით წამოიძახებს: „მზად არის!“ და მისი ხელის შემშლელი და გახვითვლები ყრთან იატაკზე! ასეთი ტანჯვას დიდხანს ვერ გაუძლებს ბიკნტი! ის ხომ ჰკვირანს კაცია?! ოჯახს უწყობს ანგარიშს: არ უნდა, სხვას რომ გააგებინოს თავისი ოჯახური ოპოზიციები. ჩვენ ხომ მეზობლები ვართ?! კარგი მეზობელი კარგ ნათესავს სჯობს! უნდა დავეხმაროთ! — მზვიარავი მეზობელი მგულად გვიღობით დამეხებია ტანზე.

— როგორ?! — ძლივს მოვახერხე ამოსუნთქვა.

— მილიციას უნდა გაგაგებინოთ, იმ დროს, როცა ბიკნტის ხელს უშლიან შედეგების შექმნაში:

• მე უკვე კოლუმბად წარმოვიდგინე თავი, იმ განსხვავებით, რომ მან მატერიკი აღმოაჩინა, მე კი გენია უნდა აღმოვჩინა! ჩემი სხეული გაღვივებულია ქვემოქვენიდან ააქვალა:

— ბიკნტის უნდა დავეხმაროთ! გულს გული იცნობს და ღონეა — ღონეა! — უფრო ძლიერ მომავლად მზვიარავმა მეზობელმა.
შევაღვინეთ ტაქტიკური და სტრატეგიული გეგმები და დაიწყეთ მოქმედება: ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როცა მე ჩემს „ზამბორიეცში“ ვიჯექი და მცირე ბრუნვებით ვამუშავებდი ძრავას... ანაზღად, ცაში აიჭრა წითელი შუშუნა! მე ადგილიდან მოვწყვიტე ავტომანქანა და... შინაგან საქმეთა განყოფილებაში ამოვყავი თავი! ჩინობრთმასავით აჭრილი ჩემი სიფათის შემზღვევარ მილიციის ლიკენანტს არც კი უკითხავს, ისე ჩამეკლა მანქანაში. მი ედიო ადგილი



ზე, ლიკენანტი ვიდრე ვაქვარ კი ბიკნტის აივანზე. მზვიარავმა მეზობელმა თითო გაიშვირა:

— შეხედეთ მწვანელებებს! ბიკნტის ხელს უშლიან მუშაობაში! ღამის არის, მაგიდაც დაუმტკიცონ!

— ლიკენანტის ყებზე სიბრაზისაგან კუნთები აცეკვდნენ... მერე ერთი ამოხენეშა წესრიგის დამცველმა და აივანის კარები შეგლიჯა:

— უი, თქვე იუღას შეიღებო! მწვანელები იატაკზე ჩამოვარდნენ, ბიკნტიმაც არ დააყოვნა და მათ მიუგორდა. მე ბიკნტის წყალს ვაპყურებ-

დი, მზვიარავი მეზობელი ბიკნტის ნაწერებში ჩაეფლო და ხმადაღწა ჩიბბა დაიწყო:

„ირემამე პედაგოგის ქურჭვია გახვეული სინამდვილეში იგი ვარყვენილ ცხოვრებას ეწევა: მუჯს-საყვარლები — მასწავლებლები და უფროსკლასნილი მოსწავლეები! მისი ცოლიც — ამორალური ცხოვრებას ეწევა: ქმრის მოსწავლე ვაყვებს მუჯარობს! ირემამის შვილები ნარკომანები არიან! საზოგადოების აზრია, ბოლო მოვლას ირემამეს და მის ამორალურ ოჯახს!

სადა ხართ თქვენ, პროკურატურისა და მილიციის მუშაკებო?!

— თქვენი კეთილის მსურველი...“

მზვიარავმა მეზობელმა ერთი ამოიკვირება:

— ირემამე ხომ პარტიონების განსახიერება?! — უმტყუნა ნერვებმა.

ბიკნტის „შემოქმედების“ კითხვა ლიკენანტმა გააგრძელა, მეც თვალს ვაყოლებდი სტრუქტურებს და, ანაზღად, ტვინში ასეთმა მოსახრებად გამოიღებოდა:

— ბიკნტის, ეტყობა, ამის დაწერაში უშლიდნენ ხელს და, იმიტომაც უკვე აცეკვდნენ მაგიდას!

— კირიკით, ეხმარებოდნენ! — განტა ჩემი მოსახრება ლიკენანტმა.

— როგორ?! — როგორ და, ბიკნტის, „პოჩერკი“ თუ არ ვუთხრო, მაგიდას აჯანჯლარებდნენ, ასევე, აღმა-დაღმა აწერინებდნენ!

— შენ, ბიკო საშუალო თუ დაამთავრე?! — მკითხა ლიკენანტმა.

— ასობრანტურა!

— რვა კლასის ატრეტატიც არ გიკუთვნის! უბრალო კრიმინალში ვერ ერკვევი! მოიცა, მოიცა! მსგავსია, ვიპოვე! — მილიციელმა ჩანთა გახსნა და ანონიმური წერილები ამოალაგა.

— რა?! — ვკითხე მე.

— რა და, ამ „პოჩერკს“ სამი წელია გიქმბ!

P. S. ყველაფერი კეთილად დამთავრდა: ჩემი მეზობელი ბიკნტი სამი წლით „შემოქმედებით“ მივლინებაში გაუშვეს! მზვიარავ-მეზობელმა კი მზვიარობაზე გული გაიტეხა: მას ხომ ინტელიციამ უმტყუნა?!

სამთაწლილ აღვიზილი

მახსოვრობები

2330

— რაც ის ოხერი გაიჩინე, სახლში ადარ გინდა მოსვლა! განა როგორ შეგავარა თავი, რომ ცოლიც დაგვიწყა და შეიღებოც?!

— ჰო, დაიწყე ახლა შენებურად!

— სხვა ქალი ჩემს ადგილას ამდენს არ მოითმენდა, მე ვარ მხოლოდ სულელი!

— ალერსი შენ არ გაკლია ჩემგან და ყურადღება, მეტი რა გინდა?

— ის, რომ მთელ ხელფასს იმას ახარჯავ!

— ჩემსას ვახარჯავ, სხვას ხომ არ ვპარავ?

— ნუ გეშინია, მალე ქურდობასაც დაგაწყვიტინებს! მე თმების უკუსაღები ფული არ მომეცო, იმას რომ დასჭირდა, ქვეყანა ფეხზე დააყენე, უცხოური, უმადლესი ხარისხის საღებავი უშოვე ორმაგ ფასში... ვაჟიშვილების მამა ხარ, იმათ მომავალზე მაინც იფიქრე!.. უფროს ბიჭს უკვე იმაზე უჭირავს თვალში!..

— რა იცი შენ?!

— მე თვითონ ვნახე წუხელი, როგორ უსკამდა ეზოში ხელებს!

— ავანტი ყურებს მაგ ლაწირაკს!

— ბავშვს რას ერჩი?! სანამ გვიან არ არის, გირჩენია; დროზე მოიცილე თავიდან!.. ვაი, რატომ ის დღე არ დაიქცა, როცა შენ ლატარის ბილეთით ჩემი ოჯახის დამაქციველი „ვიკილი“ მოიგა!

კურიოზი

— გაიგე, კაცო?! გუშინ ვარლამს რევიზორი დაეცემა!..

— დაიჭირეს?

— არა, ტვინის შერყევითა და ლავიწის ძვლის მოტეხილობით ტრაგედიკოლოგიურში წვეს, რევიზორთან ერთად!..

— ტრაგედიკოლოგიური რა შუაშია?

— ახალ ბინაში, მის თავზე, რევიზორი შეუსახლებიათ. ჰოდა, სახლში რუმინული „სპალნა“, იტალიური სასაიდლო და პოლანდიური „კუჩნა“ შეუზიდავთ, გერმანული როიალიც შეუტანიათ. ამ დროს ვარლამი, თურმე, სკამზე მჯდარა და გაზეთს კითხულობდა...

— ადარ იტყვი, შე დალოცვილო, მერე რა მოხდა?!

— როიალი ტონანახვირდანი ყოფილა, ჰერი ჩამონგრეულა და რევიზორი, როიალთან ერთად, პირდაპირ ვარლამს დაეცემა!..

თამაზ ბაიზვილი



იქონ და არა იყო რა, იყო ერთი ბრძენი ტრესტის მმართველი.

ამ მმართველს ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყავდა. ქალის გათხოვების დრომ რომ მოატანა, დაიბარა მმართველმა თავისი სამი მოადგილე და ასე უბრძანა:

— შტატების შემცირება უნდა მოვახდინო! მე ერთი მოადგილეც მეყოფა და რომელი თქვენგანიც ჩემს სატრესტოში, დილის საათებში, დაგვიანებას აღკვეთს, თანაშემწე იმას დავიტოვებ და ჩემს ქალსაც მივათხოვებო!

პირველად პირველ მოადგილეს უნდა ეცადა ბედი. ჰოდა, დატრიალდა, დაგვიანებაში შემჩნეულთაგან ზოგი მოხსნა, ზოგიც დააქვეითა, მაგრამ საწაღელს ვერ ეწია: თანამშრომლები უფრო გაბზორბა და საქმესაც ვერა არგო რა.

— გამეცა!.. შენისთანა მოადგილე მტერსამც ნუ ჰყოლიაო! — განრისხდა მმართველი და იგი განდევნა. ჰერი მეორეზე მიდგა. იმან სხვა ხერხი იხმარა:

აღა და, ყველაზე უდისციპლინოებს, ზოგს ხელფასი მოუმატა, ზოგიც განყოფილების გამგედ დააწინაურა, იქნებ, სხვებიც ნამუშში ჩავაგდო, მაგრამ ამით სულ გაათავებდა და დაგვიანებასაც ერთორად იმატა.

მეორესაც განურისხდა უფროსი და მასაც პირველის ბედი ეწია!.. დაღონდა მმართველი: მესამე მოადგილემაც რომ ვერ ივარგოს, უმოადგილეოდ დავრჩები ჩემს საქმეს ვილა გააკეთებო?.. მაგრამ შეუდგა საქმეს მესამე და ერთ თვეში ისეთი წესრიგი დაამყარა, ხალხი მის ამოსვლას ასწრებდა სამსახურში მისვლას. დაიბარა მმართველმა იგი და უბრძანა:

— როგორ მიღწიე ასეთ შედეგს, როცა შენზე გამოცდილებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათო?!

— გამირისხდები, თორემ მოგახსენებდიო! — გაუბედა მოადგილემ.

— არა, ჩემი ქალის მზემეაო!..

— მაშ, მოგახსენებ: ჩვენი ტრესტის ბუფეტი... სახაშედ გადააკეთებინეო!


მოეწონა მმართველს პასუხი, გადაჰკონა მოადგილე და, როგორც პირობა იყო, ქალიც მასვე მიათხოვა, ხოლო მზითვეში სამოთახიანი ვილა და „ფიატი“ გაატანა ქალსა.

ქირი იქა, ლხინი იქა, ხაში იქა, მწვალიც იქა.

კახი პატიაშვილი




— შენ არ იცი, რომ კვბოვუსში მოწვევა აკრძალულია?!



ნახ. ზ. ფირცხალავასი

უბეჭებოდ



უსიტყვოდ



უბეჭებოდ



თანამედროვე კრუსი.

სარგები კრასნიკოვში

სარგები კრასნიკოვში
სარგები კრასნიკოვში

ივანი

მონადირეებს შეეპყროთ ლომი,
ხის ძირას ეგდო მეფე გულადი.
მივიდა მისი შეპყრობის ცნობა
ტყეში მაჩვის და კურდღლის ყურამდი.

მაჩვი ამ ამბავს დუმილით შეხვდა,
ხოლო კურდღელმა მოჭუტა თვალი:
„აჰა, ვუჩვენებ ნადირთა მეფეს,
რომ ჩვენი ჯიშიც არ არის მხდალი!“

„წამო, წავიდეთ!“ — მაჩვს შეუძახა, —
„მჭირდება ამბის მხილველ-მთხრობელი,
ნულარ აყოვნებ, გული არ მოთმენს
სისხლის სუნი მცემს დამათრობელრ!“

მოტეხა იფნის მოქნილი სახრე,
შეყარა მხეტა, ფრინველთა ჯარი
და ყველას თვალწინ, გაბაწრულ მეფეს
სულ ცხვირპირიდან ადინა ძმარი.

იკლავებოდა ლომი საწყალი —
სირცხვილისაგან სიკვდილის მდომი...
და დაუმტყიცა კურდღელმა ყველას,
რომ ძალუძს დასჯა შებორკილ ლომის...

თარგმნა თედო ბაქიუვიძე

აშთაინიდან თბილისში ვიყავი მოვლინებულნი; საბურთალოზე სახინკლეში შევედი; ის იყო, ხინკალს დაეწვდი, რომ გვერდით მაგიდასთან გილაკამ დომენტი ასხენა. ორნი იყვნენ. ერთი მშენებელი მუშა აღმოჩნდა, მეორე — მძღოლი.

ხინკლისა და ლუდის ნამდვილი გემო თუ გინდა გაიგო, იმერეთში დომენტის სახინკლეს უნდა ეწვიო! — თქვა მშენებელმა.

— სწორედ ხვალ ვაპირებ დისშვილებთან გამგზავრებას, თუ დრო დამრჩა, იმ შენს ნაჭებ დომენტის აუცილებლად ვეახლები. — უთხრა მძღოლმა.

— აწი ვეღარ ვახლებით! — წამომცდა უნებლიეთ.

— იმერელო, ნუ ჩაგვამწარე ისედაც გამწარებული ხინკალი! — მოთხრა მოთმინებიდან გამოსულმა მშენებელმა. — თქვენს სახელოვან დომენტის რა მოუვიდა, აღარ ვვეტყვით?

— თქვენს მტერს, იმას რომ მოუვიდა! — ვთქვი და ლუდი მოვხვარიე.

— კაცის სიგლახე კი არ მიხარია, — საუბარში ჩაერთო მძღოლი, — მაგრამ ცხელ ხინკალს ცხელი-ამბავი ჩაიფებელი ლუდით უხდება.

— დომენტის სახინკლე ჩემი ბინის პირდაპირაა, — დავიწყე დბალი ხმით და მოწოდებული სიგარეტი ავიღე, — ასე, რომ მისი ხშირი სტუმარი გახლავართ... იმ სახედისწერო დღეს სამსახურიდან დომენტის სახინკლეში შევიარე, ხინკალი და ლუდი შევუტყვეთე და კედელთან მიდგმულ მაგიდას თავისუფალი მხრიდან ამოვუღე.

ჩემს გვერდით მაგიდასთან მდგარმა ელევანტურად ჩაცმულმა შლიაპიანმა კაცმა ქალაქის ხელსახოცზე მიმანიშნა. მივაწოდე. ალბათ, ყრუ-მუნჯია-მეთქი, გავიფიქრე და დახლთან მისულს მივაშტერდი.

— ათი ცალი ხინკალი და ერთი ლუდი! — თქვა დომენტომ და საანგარიშო გააჩხაკუნა, — სულ მანეთი და 30 კაპიკი..

ელევანტურად ჩაცმულმა კაცმა ხელით ანიშნა, ვერ გავიგეო.

— რა უნდა, კაცო ამ შლიაპიანს? — ხუმრობანარევი ხმით ვადმოჰკრა დომენტომ დახლთან ახლო მდგომთ და დანარჩენების ყურადღებაც მიიპყრო.

უცნობმა კიდევ ანიშნა რაღაც. დომენტომ ვერ გაიგო, თუ არ გაიგო, ასევე მომხმარებლებს ვადმოგვხედა.

დაიწყო



— დამიწერო, გეუხნება! რა ვერ გაგე?! — ნერვულად შესძახა ყავარჩნიანმა კაცმა.

— რა დამიწერო, გამაგებინეთ! — შეიცხადა დომენტომ.

— მოგწონვარ სიძედ თუ არაო, — გაეხუმრა გრძელთმიანი ბიჭი.

— რა ღირს ათი ხინკალი და ერთი ლუდიო, — აუხსნა იქვე მდგომმა თილეთიანმა კაცმა.

— რა ღირს და... — სიტყვა ყელში გაეჩხი რა დომენტის, — სახლს კი არ გყიდი, ნასყიდობა რომ დაეუწერო!

შლიაპიანმა ხელსახოცი დახლზე გაუშალა. ისევ ანიშნა, დამიწერო.

დომენტომ უხალხოდ აიღო ფანქარი, ფართინა ქალაქზე რაღაც დაჭაბანა და ჰირვეულს ქრთამივით სწრაფად ჩაუღო ხელში.

შლიაპიანმა სათვალე მოიმარჯვა, მინაწერს ყურადღებით დახედა, მერე ფული გადაიხადა და კარებისაკენ წელა ნაბიჯით გაეშურა. ხელსახოცი ქალაქი კი მაგიდასთან, „ხუმარა“ ბიჭის ფეხებთან, მიაგდო.

ბიჭმა არც აცია, არც აცხელა, დაკუქული ქალაქი სწრაფად აიღო და დომენტის მინაწერხმამალა წაიკითხა: „ათი ცალი ხინკალი — სამოცი კაპიკი; ერთი ლუდი — ოცდაათი კაპიკი; სულ — ოთხმოცდაათი კაპიკი..“

— აკი. მანეთი და ოცდაათი კაპიკიო? — გაკვირვებით თქვა ყავარჩნიანმა.

გაყუჩებული სახინკლე სკასავით აზუზუნდა... — ვითომ, ყრუ-მუნჯმა უნდა გვაჯობოს? — წამოიძახა ვილაკამ ბოლო მაგიდიდან.

„ხუმარა“ ბიჭმა ხელსახოცი იქვე მიაგდო და დომენტის ორკოფული ღიმილით მიუახლოვდა

— ჩვენ სამნი ვიყავით, ძია დომენტი! ოცდაათი ხინკალი და სამი ლუდა ჩემზე! — სწრაფად თქვა დომენტომ და მზარეულს გასძიო ხა, ოცი ხინკალი ვადმოვდიო.

ბიჭი დაიბოლმა.

— დამიწერე! — თქვა უცებ და ქალაქი ყრუ-მუნჯივით დახლზე გაუშალა.

— რა დავიწერო, ბიჭო! — წახდა დომენტომ.

— დაუწერე, დაუწერე! — გამოექომაგნენ ბიჭს ყოველი მხრიდან.

— დომენტომაც იძულებით დაწერა. ნახარჯი სულ ორ მანეთსა და ორმოცდაათორმეტ კაპიკს შეადგენდა.

ბიჭმა სამი მანეთი მიაწოდა, მერე ხურდა მიითვალა და სახინკლედან კმაყოთილი გავიდა.

ბოლო მაგიდასთან ექვსნი იდგნენ, როცა კარგად დანაყრდნენ, ფულის გადაახადელად დომენტის თითქმის ერთად მიადგნენ, მაგრამ თანამოსუფრეველს ღიპიანმა მელტმა დაასწრო.

— ორმოცდაათი ხინკალი და ექვსი ლუდი! — თქვა ღიპიანმა და დომენტის საანგარიშოზე ხელი აუკრა, — მეც დამიწერე!

— შენც დაყრუვდი, ბიჭიკო?! — სიმწრით აღმოხდა დომენტის და მიწოდებულ ქალაქს ზიზლით დახედა.

მე და დომენტი „მეზობლები“ ვიყავით დროცა ფულის მიცემა დავაყოვნე, ვლუთმელეთი მოუვიდა..

— შენც ხომ არ დავიწერო, ადამიანო?! — დამიწერე!

მას შემდეგ „დამიწერე“ ტერმინად იქცა ხინკლისა და ლუდის მოყვარულთა წრეში.

— წერადავიწყებულ დომენტის ხელსახოც ქალაქდებზე გაახსენეს ანბანი.

ლუდი მოვსვი და ცოტა შევისვიე.


— მერე? — მოუთმენლად ჩამეძია მშენებელი.

— მერე სახინკლეს თავი მიანება და ქარხანაში დაიწყო მუშაობა, თურმე პროფესიით ელექტროინჟინერი ყოფილა..

ორმაგად ნასიამოვნები გამოვედით გარეთ. ვეებერთელა ცაზე ხინკალივით იხარშებოდა მზე, ლუდის კათხასავით ლიცეცებდა ჩაცივებული მტკვარი და საანგარიშოსავით შეღერა-ლაცო მოაჯირი ხიღზე...

ალეკო გავია

ნახ. 8. აბაშიძისა




— მწკადებით დაიწყე?
— აბა, ცოტა მაღაჟე თუ არ მოლი კასი, ისა როგორ უნდა ხატო?!
— რას შვრებით, აღაპიანებო?! ღმერთი არა მწკადით?!

ნახ. 5. ქალაქსაშვილისა



— რას შვრებით, აღაპიანებო?! ღმერთი არა მწკადით?!



უბამსტორ

ალო, ალო! სოფელ აკურის რკინიგზის სადგურიდან გირეკავთ, ძვირფასო ნიანგო! წელს, როგორც იქნა, გვიღირსა რკინიგზის ბაქნის მშენებლობის დაწყება, მაგრამ, როგორც კონტურებიდან ჩანს, იგი მხოლოდ სამიოდე ვაგონისთვისაა გათვალისწინებული. დანარჩენ ვაგონებში შესვლასა და იქიდან ჩამოსვლას კარგი ვაჟაკობა, უნდა! გაჭირვება მიჩვენი და ახტომას გიჩვენებო, ხომ გაგიგონია? ჩვენც გაძლიერებით ვვარჯიშობთ. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ სპორტის ამ მოძიელებულ სახეობაში აღარ ვარჯიშობენ ჩვენი მეზობლები: ვაზისუბნელები, ჩუმლაყელები, ახაშენელები, თუ კონდოლელები.

იქნებ, ცოტა ხელი წაგვანძარო, საყვარელო ნიანგო, თორემ ამ არცთუ ისე ახალი სპორტის ათვისება მოხუციებსა და ბალღებს ძალიან უჭირთ!

* * *

ალო! ერთი წუთით ჩვენც მოგვისმინეთ, ნუცუბიძის ქუჩის მცხოვრებნი ვართ. ლამპიონები ქუჩის ერთ მხარეზეა ჩარიგებული, მეორე მხარეზე კი სულ არ არის. მაგრამ ამას ვჩივით? იქნებ, ცალ მხარეზე მაინც აგვიანოხს...
სასმელ წყალზე კი, ამ გავანია სიცხეში, აბა, როგორ შეგაწუხოთ!..

* * *

ალო, პატივცემულო ნიანგო, არც ჩვენ, ზემოვიძისელები, გაწუხებთ სასმელი წყლისთვის, ოღონდ ლიმონათით, მინერალური წყლით, ან წყალ-წყალა ღვინით მაინც მოგვამარაგონ!

* * *

ჩვენ თბილისიდან, გვაზაურის ქუჩის მცხოვრებნი გაწუხებთ. აი, ამჟამად, გამოუკლებლოვ ყვილანი, ტილეფონის ჯიხურთან ვართ ატუზულნი. ალბათ, შეძახილებიც კი გესმით! იქნებ, ჩვენც გვიღირსო ქუჩის კეთილმოწყობა, რომ ქალაქის ცენტრში დაუმტკიცოთ ტანისამოსითა და გაარიალებული ფეხსაცმელებით გავიდეთ. ჩვენც ხომ ქალაქის მცხოვრებნი ვართ!

შანი სიხარულით

მოლით, ნახეთ!

მრტხვენოდა და ვერ ვამხელდი ...მე ეს გულში დიდხანს გმალე, თან ვთქვი: „თვითონ მიხვდებიან, გასწორდება დღის ან ხვალე!“

მაგრამ დღე დღემ გაიყოლა; წლის ჩარხი ხომ დღისგან ბრუნავს? დრომ ბევრი რამ მოაგვარა, ამაზე კი არაინ ზრუნავს.

ბოლოს მაინც გადაწყვიტე მოყვრისათვის პირში ძრახვა, რადგან, ძმაო, ამ საქონლით არც აქ ჩანხარ, იერც შორს წახვალ!

ერთხელ, რაღაც ჩემდა ჭირად, გადაწყვიტე ჩემპრის ყიღა, უცხოური მე არ მერგო, ქორეაჭრებზე „გაიყიდა“.

მაშინ უცებ გადაწყვიტე, შემიძინა თბილისური. მართლაც, რაღა სხვა ვიყიდო? არ სჯობია ჩვენივეური?

გამყიდველმა „ნაცნობობით“ ხუთჯერ დიდი ამირჩია, მართო ერთხელ გარეცხეთ. გამაფრთხილა და მიჩრჩია.

შინ მოველ და ჩემმა ცოლმა ამოსუნთქვა არ მაქალა: როგორ გადავას, მაჩვენეთო! ჩამაცვა და ჩამაზმანა.

ტომარაში მჯდომსა ეგავდი, გულურას და საფრთხობელას, იმისაგან, რაც ვადამხდა, დაგიფართოთ ღმერთმა ყვილა:

ცოლი შიშმა აიტანა, მომვარდა და შემანჯღრია, რა არ მკადრა, რა არ მითხრა, თავგზა სკლამთლად ამიბნია.

დავამვიდი: „ქალო, შენი აღლევიბა არ იქნება, სამჯერ კარგად გამოირეცხე, ტანზე ზუსტად მომიერება!“

რაღა ბევრი გავარძელო, ვამბობ, თანაც მიცინება: „ხუთჯერ კარგად რომ გარეცხავს, ჩემპრი ათჯერ შემეცირდება“.

რად მინდოდა თბილისური მე საცოდავს? ისევე მცვიდა. მოლით, ნახეთ: ჩემი ჩემპრი ჩემს პატარა ბიჭს აცვიდა!..

გადაწყვიტე, დღეის შემდეგ, თბილისურს არ გაიკარო. ვინც მე ასე შემაშინა, ჩემი ცოლიც მან ატაროს!

ბალერიან მოსაზვილი



„ვეცხოვრობ!“ — იტყვის ზოგი კაცი, ცოდნით უყვარს კვეხნა!.. მაგრამ ვერ გრძნობს: თავის ცოდნით არც არსებობს ქვეყნად!

* * *

ჩვენში ერთი რამ შემორჩა, მეტად გულსაწვაგი: ზოგჯერ სავეს თავს დასცინის ცარიელი თავი!

ჯანო კობალავა

ნახატი თემების ავტორები: შ. სიხარულიძე, მ. აბაშიძე, ვ. უხტიანო, მ. ფირცხალავა, მ. კუხალაშვილი, ბ. ლომიძე, ნ. ლუბსაშვილი.

სარედაქციო კოლეჯი: ზ. ბოლქვაძე (მ.მ. მღვინე), ზ. პატივაშვილი, ზ. ლულუა, ბ. ლომიძე, ნ. მალაფონი (მხატვ. რედ.), ბ. ნოზინიძე (მთ. რედ. მოადგილე), ბ. ფიქსალავა, თ. ზამთარი, ბ. ტაყაიშვილი, რ. მარტოვილი, მ. ზუსტაშვილი, თბილისი, რუსთაველის პარკში № 42, საბრძოლველს აკ. ცაიის განთავსებულმა, ბაღამბა ასაწოდებ 11/VIII 75 წ. ხელმოწერილია დსსაბჭოდ 4/IX 75 წ. აბსტრაქტის ზომა 70x108/8 ფორმატში ნაბაჟი ფურცელი 1. საბრძოლველს აკ. ცაიის ბაზრისგანთავსებული სტამბა, ტარილსა, ლუნიჩიკა, 14. 8038. 3087 შ. 02023 ფიჩ. 135.070. თბილისი, პრ. რუსთაველი № 42, სატირიკო-იუმორისტული ჟურნალის «ნიანგი» გამომცემლობა, ტბილისი, ულ. ლენინა № 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ულ. ლენინა № 14. ტელეფონები: 99-76-09, 98-19-42, 98-10-76, 98-49-82.

მთავარი რედაქტორი ჯურნალსაზვილი

75-651



ინდექსი 76137

ქართული
საქართველოს
საქართველოს

ნახ. პ. ლომიძის

ეპროკის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შედეგად
გები სასარგებლო შეიძლება იყოს ევროპის ფარგლებს გარეთაც.

